შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

კონსტრუქციული მდგრადობა, პროექტის დიაგნოსტიკის

სამეცნიერო დიაგნოსტიკური ცენტრი.

"C.B.C" L.T.D

GEORGIA

№49) 05/09/2018 წ.

ქალაქი თბილისი შარტავას 14ა

Tbilisi shartava str14a

Email:

Ramaz_khvedelidze@yahoo.com

TEL: +(995)551111412

C.B.C-R LTD სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი.

ქ.თბილისი, შარტავას 14ა ელ-ფოსტა: ramaz-khvedelidze@yahoo.com

ს/კ 400010082

№-48 05/09/2018

ექსპერტიზის დასკვნა

ქ. თბილისი იმედაძის ქუჩა №47-ში ს/კ 01.14.08.009.011 საპროექტო შენობის ზეგავლენა არსებულ და მომიჯნავე შენობა ნაგებობებზე

საქმის ვითარება

ჩვენი სპეციალისტებს დაევალათ გამოკვლევა ჩაეტარებინა ზემოთ აღნიშნულ მისამართზე საპროექტო შენობის ზეგავლენის შესახებ, მომიჯნავედ არსებულ შენობებზე.

გამოკვლევა

გამოკვლევის მიზნით შესწავლილი იქნა მომიჯნავე ნაკვეთების შენობა-ნაგებობები.

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი და ნახაზები, აგრეთვე გამოკვლევა ჩაუტარდა მომიჯნავე შენობებს.

კერძოდ:

ს/კ 01.13.08.010.031 შენობა, რომელიც ემიჯნება სამხრეთ-აღმოსავლეთით წარმოადგენს ცხრა სართულიან მრავალბინიან საცხოვრებელ სახლს, იგი აშენებულია რკინა ბეტონის რიგელ კოლონის კონსტრუქციით, რომლის გადახურვა ნაწარმოებია არმირებული ბეტონის ფილით. ვინაიდან იგი დახრილ რელიეფზეა აშენებული მას გააჩნია წერტილოვანი ფუნდამენტი რაც მართებულად მიგვაჩნია, ამ შენობის ძირითადი მზიდი ელემენტები საპროექტო შენობის ძირითადი ელემენტებიდან (წერტილოვანი საძირკვლები დიაფრაგმა მონოლითური კედელი) დაშორებულია 1.5 მეტრით.

ასევე (ს/კ 01.13.08.010.064) შენობა, რომელიც ემიჯნება სამხრეთ-დასავლეთით წარმოადგენს რვა სართულიან მრავალბინიან საცხოვრებელ სახლს, იგი აშენებულია რკინა ბეტონის რიგელ კოლონის კონსტრუქციით, რომლის გადახურვა ნაწარმოებია არმირებული ბეტონის ფილით. ვინაიდან იგი დახრილ რელიეფზეა აშენებული, მასაც გააჩნია წერტილოვანი ფუნდამენტი.

ჩრდილო-აღმოსავლეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით ესაზღვრება საავტომობილო გზები.

აღნიშნულ სამუშაოებს არავითარი სახის უარყობითი ზეაგვლენა არ ექნება მომიჯნავედ არსებული შენობების მიმართ, ვინაიდან სამუშაოებით არ ხდება ახალი ძალიან მაღალი ინტენსიობის დატვირთვების მქონე შენობის მშენებლობა

რეკომენდაცია

მიგვაჩნია რომ, ჩასატარებელი სამუშაოების დროს თუ იქნება გათვალისწინებული მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი სადემონტაჟო შენობა არანაირ საფრთხეს არ შეუქმნის მომიჯნავე შენობებს.

დასკვნა

ჩვენი სპეციალისტები ვდებთ დადებით დასკვნას რომ, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, განსახორციელებელი შესასრულებელი სამუშაოები არანაირ საფრთხეს არ შეუქმნის მომიჯნავე შენობების მდგრადობას.

დირექტორი: ლ. მაჭარაშვილი

პასუხიმგებელი პირები:

ინჟ–კონსტრუქტორი რ.ხვედელიძე

ინჟ–კონსტრუქტორი ი. სანაია